პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 182 (9650) | სამშაბათი, 4 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

გადამწყვეტი დღეები საკვების დამზადებაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

სანიმუშოდ ჩავატაროთ მოსავლის აღება და სასოფლო-საშეურნეო პროდუქტების დამზადება (მე-2 გვერდი).

ს. არღუნელი. — კომბაინერთა შეჯიბრების დიდი ძალა (მე-2 გვერდი).

გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა! — შ. ჭოჭუა. — „ობიექტური“ მიზეზები და სინამდვილე (მე-2 გვერდი).

მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტისაგან, ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ავსტრალიის კომუნისტური პარტიისაგან და არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან (მე-3 გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გადამწყვეტი დღეები საკვების დამზადებაში

მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნის საქმეში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება, თივის აღება და საკვების დასილოსება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1 აგვისტოსათვის საქართველოს კოლმეურნეობებში ბუნებრივი ბალახი აღებული იყო 87.271 ჰექტარზე, გეგმის 45,9 პროცენტი, დასილოსებული იყო 75.514 ტონა საკვები, გეგმის 25,2 პროცენტი. საერთოდ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში უხეში საკვების დამზადების გეგმა მხოლოდ 6,9 პროცენტით არის შესრულებული.

თივის აღებაში ჩამორჩნენ ახალციხის, თელავის, ლანჩხუთის, ცხაკაიას და სხვა რაიონები. ქარელის, ახმეტის, თელავის, დმანისის რაიონების მეტწილ კოლმეურნეობებში ვხვდებით დაშორიშორებას ბალახის თიბვასა და დაზვინვას შორის, რაც იწვევს თივის ხარისხის გაუარესებას და დანაკარგებს. სიღნაღის რაიონში ნამჯა ბევრგან შეგროვებული არ არის, რის გამო საკვები ლპება და ნადგურდება.

თივის აღებაში ბევრგან გამოყენებული არ არის კოლმეურნეობათა შრომითი რესურსები. ავიღოთ, მაგალითად, ბორჯომის რაიონი, რომელმაც წელს ბუნებრივი ბალახი უნდა აიღოს 7.000 ჰექტარზე. აქ კოლმეურნეობებში ხელიდან უშვებენ თიბვის საუკეთესო ვადას. სოფელ დიდი მიტარბის კოლმეურნეობაში თიბვაზე ყოველდღიურად 36 კაცი უნდა მუშაობდეს, ფაქტიურად კი 10 კოლმეურნე მუშაობს.

საკვების დასილოსება განსაკუთრებით ჩამორჩა ბოლნისის, ლაგოდეხის, ხაშურის, კასპისა და სხვა რაიონებში.

ცუდად მუშაობენ საკვები რესურსების გასაფართოებლად მეცხოველეობის ისეთ ძირითად რაიონში, როგორიც არის თეთრი წყაროს (პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. მაისურაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჩომახაშვილი). ეს რაიონი მკვეთრად ჩამორჩა თივის აღებაში. ნამჯის დიდი ნაწილი აქ აუღებელი და დაუზვინავია. კოლმეურნეობები არ შესდგომიან საკვების აღრიცხვასა და შემოსავალში გატარებას, არც სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა არის სათანადოდ გაჩაღებული. გარდაბნის რაიონში (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ქსოვრელი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გაჯიევი) კარგახანია დაიწყეს თიბვა, მაგრამ 1 აგვისტოსათვის აქ თივის აღების გეგმა შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 46,6 პროცენტით, საკვების დასილოსებისა კი — 0,8 პროცენტით. ამბროლაურის რაიონში (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. კახიძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯინჭარაძე) საკვების დაგროვება თითქმის თვითდინებაზეა მინებებული. ამის გამო 1 აგვისტოსათვის თიბვის გეგმა რაიონში შესრულებული იყო მხოლოდ 25,7 პროცენტით, საკვების დასილოსებისა კი 4,7 პროცენტით.

საკვების დაგროვებაში სამარცხვინო ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, კერძოდ მისი მეცხოველეობის მთავარი სამმართველო (უფროსი ამხ. ვ. კობახიძე) არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებში საკვების დაგროვების სამუშაოებს, სუსტად ეხმარებიან მათ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულად გამოყენებაში.

ახლა, როცა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულია ამოცანა, რომ მეცხოველეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგიდან გადაიქცეს მოწინავედ, შეუწყნარებელია შეეურიგდეთ ჩამორჩენას საკვების დაგროვებაში. ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სწრაფად გამოვასწოროთ მდგომარეობა, ერთხელ და სამუდამოდ დავძლიოთ ჩამორჩენა, გავასამკეცოთ თივის აღებისა და საკვების დასილოსების ტემპი. ბალახი უხვად არის შემოსული, განსაკუთრებით მთიან რაიონებში. აუცილებელია ასე გავანაწილოთ ადგილებზე ძალები, რომ თიბვა და საკვების დასილოსება შეუფერხებლივ წარმოებდეს მკის, ლეწვის, ნათესების დამუშავების, საშემოდგომო თესვისათვის მზადების და სხვა გადაუდებელ სამუშაოებთან ერთად.

შეუნელებელი ყურადღების ღირსია თივის ასაღები და სილოსის საჭელი მანქანების სრული დატვირთვით გამოყენება, თვითეული აგრეგატის მიერ, ცვლის ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ახლა თივის აღებასთან ერთად ყველა პირობაა საკვების დასილოსების დასაჩქარებლად. მეცხოველეობის მუშაკთა ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ სილოსისათვის გარეული ბალახები და არ დაუშვან ამ სამუშაოს გადადება საშემოდგომოდ, რადგან იმ პერიოდისათვის მკირდება დასასილოსებელი მასის რესურსები.

პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები ვალდებულნი არიან ოპერატიულად, კონკრეტულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ საკვების დამზადებას. ისინი ღრმად უნდა ჩასწვდნენ კოლმეურნეობათა ეკონომიკას, ცოცხალი კავშირი იქონიონ იმ ადამიანებთან, რომლებიც წყვეტენ საკვების დაგროვების ამოცანას.

საბჭოთა მთავრობის მიერ დაწესებულია წამახალისებელი ღონისძიებანი თივის აღებასა და საკვების დასილოსებაზე მომუშავეებისათვის, რომლებიც წარმატებით ასრულებენ დავალებებს. ჯერ-ერთი, საჭიროა ფართოდ გავაცნოთ კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს წამახალისებელი ღონისძიებანი; მეორე, შეუპოვრად ვიბრძოლოთ მისი გატარებისათვის.

ყოველდღიური ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს საკვების დამზადებას საძოვრებზე. წალენჯიხის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, გაგრის და ყველა იმ რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებსაც პირუტყვი ქლუხორის საძოვრებზე ჰყავთ, დამატებით უნდა მიავლინონ მუშახელი და უზრუნველყონ საკვების დაგროვების გეგმის შესრულება. ასეთივე ამოცანის წინაშე დგანან სიღნაღის, თელავის, წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, თეთრი წყაროსა და ბოლნისის რაიონების ის კოლმეურნეობები, რომლებიც პირუტყვს აზერბაიჯანის საძოვრებზე აზამთრებენ.

საკვების დამზადებისადმი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაჭრით გაძლიერება, კოლმეურნეთა შორის საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაჩაღება მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად — ასეთია ამოცანა.

საკვების დამზადების გეგმის შესრულებაში გადამწყვეტი ეტაპი დადგა, ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათიც კი. მეცხოველეობისა და მტსების მუშაკებმა სწრაფად უნდა გამოასწორონ ჩამორჩენა. აუღებელი და დაუზვინავი არ დავტოვოთ არც ერთი ჰექტარი თივა, უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა მიერ თივის დამზადების სახელმწიფო გეგმის დროულად შესრულება, არ დავიშუროთ ძალა იმისათვის, რომ კარგი ხარისხის მეტი საკვები დავუმზადოთ განუხრელად მზარდ საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

თივის აღების მიმდინარეობა კოლმეურნეობებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1953 წლის 1 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	სოფლის მეურნ. და დამზადებათა სამმართველოების უფროსები
წინ მიდიან:	
დმანისი	დ. ანდღულაძე
ახალქალაქი	ა. ნიკოგოსიანი
მარნეული	ბ. ფიშერი
ჩამორჩებიან:	
გარდაბანი	კ. სევასტოვი
ახალციხე	შ. წიქვაძე
თეთრი წყარო	გ. გოცირიძე
თელავი	ა. გოგიძე
ლანჩხუთი	ი. ჩხაიძე
ცხაკაია	მ. ხაბახტარიშვილი
ამბროლაური	ვ. კაციტაძე

კოლმეურნეობებში საკვების დასილოსების მიმდინარეობა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1953 წლის 1 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	სოფლის მეურნ. და დამზადებათა სამმართველოების უფროსები
წინ მიდიან:	
წალკა	პ. შაბბაზოვი
ბოგდანოვკა	შ. ლორეციანი
კაპრეთი	ხ. გაგოშიძე
ჩამორჩებიან:	
გარდაბანი	კ. სევასტოვი
ბოლნისი	ი. ლომინეიშვილი
ლაგოდეხი	გ. ბეგაშვილი
ხაშური	პ. კუბლაშვილი
კასპი	ხ. კოტეტიშვილი
ამბროლაური	ვ. კაციტაძე
წყალტუბო	მ. ღოღობერიძე
ქუთაისი	ა. ყიფიანი
ვანი	გ. მაღლაკელიძე

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

კომგაინერთა სიტყვა და საქმე

რამაზაშვილმა 500 ჰექტარი მომკა

ახმეტა, 2 აგვისტო. (საკ. კორ.). ახმეტის მტს-ის კომბაინერები მოსავლის აღებას განაგრძობენ. სოლომონ რამაზაშვილის აგრეგატი მოწინავეობას ინარჩუნებს. მან 23 სამუშაო დღეში 500 ჰექტარი მომკა და ბუნკერიდან 5.250 ცენტნერზე მეტი საუკეთესო ხარისხის ხორბალი გადმოტვირთა.

— წარმატებას, — თქვა რამაზაშვილმა, — აგრეგატის მუშაკთა თავდადებული შრომით მივაღწიე. მეშტურვალე ფ. ჩაღმაველი, ტრაქტორისტი ა. ჭიჭიაშვილი, მისაბმელ მანქანაზე მომუშავე ვ. ჯავახიშვილი არც ერთ წუთს უქმად არ კარგავენ. ღამით, როცა პური ნესტიანდება და მკა აღარ შეიძლება, კომბაინსა და ტრაქტორს ასუფთავებენ, ზეთავენ. თუ რომელიმე ნაწილი ნორმალურად არ მუშაობს, სასწრაფოდ ცვლიან. საათობრივ გრაფიკს ზუსტად ვიცავთ.

რამაზაშვილი მოსავლის აღებას განაგრძობს. ალაზნის მტს-ის კომბაინერს მ. ლაზარიაშვილს ამ დღეებში რამაზაშვილმა მისწერა, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას აუცილებლად შეასრულებს.



კომბაინერთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის ინიციატორი, ახმეტის მტს-ის კომბაინერი ს. რამაზაშვილი მინდვრად მოწყობილ რადიოთი უკავშირდება მტს-ის დირექციას და აწვდის მოსავლის აღების მდგომარეობის ცნობებს.

სურათზე: კომბაინერი ს. რამაზაშვილი ცნობების გადაცემის მომენტში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

სიღნაღის რაიონის ალაზნის მტს-ის ცნობილ კომბაინერს მიხეილ ლაზარიაშვილს 9 წელია მტკიცედ უპირავს გარდამავალი წითელი დროშა. იგი შეჯიბრებაში ჩაბმულია ახმეტელ მექანიზატორ ს. რამაზაშვილთან. მ. ლაზარიაშვილმა 20 სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 650 ჰექტარზე.

სურათზე: კომბაინერი მ. ლაზარიაშვილი თავის კომბაინთან.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

კომგაინერ მუსაშვილის წარმატება

ყვარელი. (საკ. კორ.). ყვარლის საკოლმეურნეო მინდვრებში დამთავრდა მოსავლის აღება. ბევრმა კომბაინერმა მოსავლის აღების გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულა.

ენილის მტს-ის კომბაინერთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა კომბაინერმა იოსებ მუსაშვილმა. მან 25 სამუშაო დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 500 ჰექტარი მომკა და ბუნკერიდან 650 ტონაზე მეტი პური გადმოტვირთა. ამ წარმატებაში მუსაშვილს ხელი შეუწყეს მეშტურვალე შ. მოსიაშვილმა, ტრაქტორისტმა ნ. ხმიადაშვილმა და მისაბმელ მანქანაზე მომუშავე ა. ბერიაშვილმა.

მეორე ადგილი კომბაინერმა გიორგი გიგილოშვილმა დაიკავა. „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 440 ჰექტარი მომკა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა. კომბაინერმა ნ. კურდღელაშვილმა 5.800 ცენტნერი პური გალეწა, ნ. მეტრეველმა კი — 5.400 ცენტნერი.

შეჯიბრებაში დაწინაურებულნი

თეთრი წყარო. (სპეც. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული კომბაინერები გ. ფეოდოროვი, კ. ელეფტერიადი, ა. დალაქიშვილი და ს. პასკალოვი წარმატებით იღებენ მოსავალს თეთრი წყაროს მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში.

მოსავლის აღებაში თავი გამოიჩინა კომბაინერმა გ. ფეოდოროვმა, რომელმაც „სტალინეც-6“-ით დავალება უკვე გაანაღდა, პურეული მომკა 550 ჰექტარზე. მან დამატებით იკისრა ვალდებულება ამ სეზონში აიღოს მოსავალი 150 ჰექტარზე. ახლა გარდამავალი წითელი დროშა გ. ფეოდოროვის კომბაინზე ფრიალებს.

შეჯიბრებაში დაწინაურდა თვითმავალ კომბაინზე მომუშავე კ. ელეფტერიადი. მან უკვე მომკა 350 ჰექტარი პურეული, კომბაინერმა ა. დალაქიშვილმა კი 250 ჰექტარი.

კოლმეურნეობები აძლიერებენ მკის ტემპებს და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. სოფელ სამშვილდის კოლმეურნეობა „კრასნოე ზნამიაამ“ რაიონში პირველმა შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა — ჩააბარა 112 ტონა პური.

მარნეულის რაიონმა შეასრულა პურის დამზადების გეგმა

მარნეულის რაიონმა 8 აგვისტოსათვის 100 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა გარდა სიმინდისა.

პურის დამზადება ნატურანაზღაურების ანგარიშში გრძელდება.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 1 აგვისტოსათვის მთელ რესპუბლიკაში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 64,6 პროცენტით, ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 92,3 პროცენტით.

ცალკე რაიონების მიხედვით ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს ივლისის დავალება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით შესრულებული ჰქონდა 79,8, ქობულეთის — 93,6, ქედის — 118,2, გალის — 101,9, ოჩამჩირის — 97,8, გულრიფშის — 100,2, სუხუმის — 133,9, გუდაუთის — 119,8, მახარაძის — 86,8, ჩოხატაურის — 102,5, ლანჩხუთის — 88,1, სამტრედიის — 92, წულუკიძის — 63,2, ჭუთაისის — 95,4, წყალტუბოს — 42,9, ტყიბულის — 91,1, ცხაკაიას — 78,2, აბაშის — 69,5, გეგეჭკორის — 100,7, ზუგდიდის — 106,1, წალენჯიხის — 102, ჩხოროწყუს 100,2, ხობის — 87, თერჯოლის 93,1, ხოლო ზესტაფონის რაიონს — 35 პროცენტით.

რსდმპ II ყრილობის მოწვევის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

3 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ამხ. ვ. ესაიაშვილმა მოხსენება თემაზე „პროგრამის საკითხი რსდმპ II ყრილობაზე“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ი. მირცხულავამ.

მოხსენება „პარტიის წესდების საკითხი რსდმპ II ყრილობაზე“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ა. ჩხარტიშვილმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის მეცნიერმა მუშაკებმა და ქალაქის პარტიულმა აქტივმა. (საქ-დესი).

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის (სიმინდის ჩაუთვლელად) ჩაბარების გეგმა

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 აგვისტოსათვის 100 პროცენტით შეასრულეს მარცვლეულის (სიმინდის ჩაუთვლელად) ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, აქედან ხორბლისა — 102,5 პროცენტით. გასულ წელთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა 183 ათასი ფუთით მეტი ხორბალი.

პურის ჩაბარება გრძელდება.

მოწინავე ჰიათურელ მაღაროელთა გამარჯვება

ჰიათურა, 3 აგვისტო. („კომუნისტის“ საკ. კორ.). დღეს აქ მოსკოვიდან მიიღეს ცნობა, რომ ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივს წელს, მეორე კვარტალში მაღალი საწარმოო ჰაჩვენებლების მოპოვებისათვის კვლავ მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროს სახელწოდება, მეტალურგიულ საწარმოთა შორის პირველი ადგილი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ამ მაღაროს კოლექტივს მიკუთვნებული ჰქონდა წელს პირველ კვარტალშიც.

ამ სასიხარულო ცნობის მიღებამ ჰიათურელ მაღაროელებში ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია.

რკინიგზელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვში

1 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა გზათა სამინისტროს და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, მიძღვნილი რკინიგზელის საკავშირო დღისადმი.

მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის სადღესასწაულოდ მორთული მწვანე თეატრი გაივსო მოსკოვის კვანძის მრავალი ათასი რკინიგზელით, დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებით, მეცნიერებით, კულტურის მოღვაწეებით, ტრანსპორტის ნოვატორებით, რომლებიც მოსკოვში დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის მრავალი რკინიგზიდან. სხდომას ესწრებიან სტუმრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მ. კაგანოვიჩი, გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშჩევი, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მინისტრი ზ. ა. შაშკო, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი და ვ. ი. პროხოროვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ი. შევჩენკო და სხვები.

სხდომას ხსნის გზათა სამინისტროს პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ჩუმაჩენკო.

რკინიგზელის საკავშირო დღის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა გზათა მინისტრს ამხ. ბეშჩევს.

ამხ. ბეშჩევი ახასიათებს წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა რკინიგზელებმა მოიპოვეს, და ეხება ამოცანებს, რომლებიც მათ უნდა გადაწყვიტონ. შეკრებილთა ტაშის გრიალში იგი გამარჯვებას უსურვებს ჩვენს დიად სამშობლოს, საბჭოთა მთავრობასა და კომუნისტურ პარტიას.

ჩინეთის რკინიგზელთა სახელით საბჭოთა რკინიგზელებს ძმური სალამი გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რკინიგზათა მინისტრმა ამხ. ტენ დაიუანმა, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პავლოვმა მოსკოვის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სალამი გადასცა დამსწრეთ. დედაქალაქის მშრომელთა სახელით შეკრებილთ მიესალმა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კაპიტონოვი.

• • •

რკინიგზელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, კიევში, მინსკში, თბილისში, რიგაში, კიშინიოვში, ტალინში, ხაბაროვსკში, ხარკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ საპატიო წოდება „გმირი დედა“ და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. **ანტონიანს** აღუნიკ იაგორის ასულს — დიასპლისის, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი პოკა.
2. **ისაევას** ლალა გიას ყზის — კოლმეურნეს, დმანისის რაიონის სოფელი ამამლო.
3. **ყანჩელაშვილს** ვარინკა ივანეს ასულს — დიასპლისს, ბოლნისის რაიონის დაბა ბოლნისი.
4. **კვასტიანს** მაგრაფ ვასილეს ასულს — ლენტეხის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
5. **კრემლიანს** აიკანუშ ოჰანესის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ სუხუმის რაიონის სოფელი ლეჩკოპი.
6. **ლაბაძეს** ელენე დავითის ასულს — ახალციხის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
7. **მარკოსიანს** აშხენ ანდრონიკეს ასულს — ბოგდანოვკის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
8. **მელიანოვას** კირიაკე ქსენოფონტეს ასულს — წალკის რაიონის სოფელ სანტის კოლმეურნეს.
9. **სიმონიანს** აიკანუშ აკოფის ასულს — ბოგდანოვკის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
10. **თოდუას** ელისაბედ კონსტანტინეს ასულს — გეგეჭკორის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
11. **ხურციძეს** ბარბარე ივანეს ასულს — ვანის რაიონის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
12. **ჩიტაძეს** გოგიტია ნიკოლოზის ასულს — ადიგენის რაიონის ვიშნესკის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
13. **იასაღაშვილს** ლუსიკ ბალასანის ასულს — დმანისის რაიონის ვორაშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 29 ივლისი.

სანიმუშოდ ჩავატაროთ მოსავლის აღება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ პარტიის რაიონული და საოლქო კომიტეტების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

თათბირმა, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. რომელაშვილმა, მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. მირცხულავას საინფორმაციო მოხსენება ნათესების დამუშავების, მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მიმდინარეობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის რაიკომების მდივნებმა: წითელწყაროს — ამხ. მ. ციხისთავი, ზესტაფონის — ამხ. ზ. კიკნაძე, საგარეჯოს — ამხ. ო. ნემსაძე, გორის — ამხ. ი. რთველიაშვილი, მახარაძის — ამხ. შ. ჭანუყვაძე, ზუგდიდის — ამხ. მ. კუპავა, წალკის — ამხ. ი. კავლაძე, გურჯაანის — ამხ. ა. დავითაშვილი, ბოგდანოვკის — ამხ. ა. ჯღარკავა, საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრმა ამხ. ზ. კეცხოველმა, სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ბიძინაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრმა ამხ. მ. ბარამიამ, ცეკავშირის თავმჯდომარემ ამხ. ლ. რუხაძემ და — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბაქრაძემ.

მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ რაიონებში სერიოზულად ჩამორჩა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, პურის, სხვა კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების გეგმები. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ნაკლებად წვდებიან კოლმეურნეობათა ეკონომიკას და თავის დროზე არ ეხმარებიან ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ჩამორჩენა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების, ლეწვის, თიბვის, სათოხნი კულტურების დამუშავებასა და საშემოდგომო თესვაში უმთავრესად გამოწვეულია მტს-ების მძლავრი ტექნიკის არასრულად გამოყენებით, არ არის აღმოფხვრილი კომბაინების, საღეწი მანქანების გაცდენები. მეტად დაბალია მკის ტემპი. 25 ივლისისათვის საქართველოში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 50,5 პროცენტით, კომბაინებით კი — 65 პროცენტით. ადგილი ჰქონდა პურეულის დანაკარგებს. ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხის, მარნეულისა და სხვა რაიონებში განსაკუთრებით ჩამორჩა ლეწვა. ამ სამუშაოს აჭიანურებენ ახმეტის, თეთრი წყაროს, ბოლნისისა და თელავის რაიონებში.

მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს სათოხნი კულტურების დროულად დამუშავების აშკარა შეუფასებლობას. ეს ითქმის, უწინარეს ყოვლისა, ლაგოდეხის, საგარეჯოს, გორის, ამბროლაურის, ჩხოროწყუს რაიონებისა და აფხაზეთის შესახებ.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ჩაის ფოთლის კრეფასა და დამზადებაში. 25 ივლისისათვის ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა რესპუბლიკაში შესრულებული იყო 60,2 პროცენტით, ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით 75,7 პროცენტით. ამ საქმეში ჩამორჩა ჩაის ძირითადი რაიონი — მახარაძის რაიონი, რაც გავლენას ახდენს რესპუბლიკის გეგმის შესრულებაზე. ჩაის კრეფაში ჩამორჩნენ აგრეთვე ცხალთუბოს, წყალტუბოს, ბათუმისა და სხვა რაიონები. ზოგან უხეშად ირღვევა ჩაის კრეფის აგროწესები.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბევრგან ჯერ კიდევ მთელი ძალით არ იბრძვიან მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. რესპუბლიკაში სამარცხვინოდ ჩამორჩება ბუნებრივი ბალახის აღება.

მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება. საგარეჯოს, კასპის, ხაშურის, ქარელის რაიონებში კარგა ხანია დაიწყო მოსავლის აღება, პურის დამზადება კი ჭიანურდება. ხორცის დამზადებაში ჩამორჩნენ ყაზბეგის, ახმეტის, საჩხერის, წითელწყაროს, კაჭრეთის, კასპის, ადიგენის რაიონები; მატყლის დამზადებაში კი — ხაშურის, სიღნაღის, ადიგენის, თიანეთის, წალკისა და სხვა რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

კამათში გამოსულებმა ხაზი გაუსვეს, რომ ბევრგან აქედანვე არ იგრძნობა ნამდვილი ზრუნვა მომავალი მოსავლისათვის. ამის გამო საშემოდგომო ხვნის ტემპი დაბალია. არის ფაქტები, როცა საშემოდგომო ხორბლის დასათესად განკუთვნილი ფართობები არ არის გაწმენდილი ნამჯისაგან, რაც აფერხებს ხვნას. ირღვევა საშემოდგომო ხვნის ხარისხიც. კაჭრეთის რაიონში ნიადაგი საშემოდგომოდ ხორბლის დასათესად 22 სანტიმეტრის ნაცვლად 12-17 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნეს.

ზოგიერთი რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ანალიზს არ უკეთებენ რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს მიერ წარმოდგენილ ციფრებს. საგარეჯოს, გარდაბნის, წალკის, ასპინძის რაიონებში მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ძლიერ ჩამორჩება. ამ რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ყოველთვის სიტყვას იძლევიან, რომ გამოასწორებენ მდგომარეობას, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს არსებითი წინსვლა არ ეტყობა.

თათბირზე გამოსულმა პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებმა გვერდი აუარეს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ არის გაშლილი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

სოფლად მომუშავე ამხანაგებმა მოითხოვეს, რომ მათ მეტი დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა. მაგალითად, წითელწყაროს რაიონს წელს 6.000 ჰექტარზე მეტი მზესუმზირას ნათესი აქვს. მისი მექანიზებულად აღება მოითხოვს 40 კომბაინზე სპეციალური მოწყობილობის დადგმას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროო მოვალეა ქმედითი დახმარება გაუწიოს რაიონს ამ საქმეში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის განვითარებისა და კერძოდ პირუტყვის საძოვრებით უზრუნველყოფის, საძოვრებისა და მდელოების გაუმჯობესების, პირუტყვის ჯიშთა გაუმჯობესების აქტუალური საკითხების გაბედულად და სწრაფად გადაწყვეტას. ამ მიზნით საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ ოპერატიული ჯგუფი იქონიოს რაიონებთან და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და დამზადებათა დაგეგმისას ღრმად შეისწავლოს რაიონების თავისებურებანი.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ აუცილებელია მთელი მოსავლის სწრაფად, უდანაკარგოდ აღება, კომბაინების, სალეწი მანქანების სრული დატვირთვით გამოყენება, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის და ბოსტნეულის ნათესების სანიმუშოდ მოვლა, ჩაის ფოთლის კრეფა ყოველდღიურად ყველა აგროტექნიკური წესის დაცვით, ჩაის შზა პროდუქციის ხარისხის ამაღლება, საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების პირნათლად შესრულება, საშემოდგომო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება.

თათბირმა დიდი ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობებისადმი, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის გაძლიერებას, ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოების და ტექნიკის ღრმად შესწავლას, ყველა შინაგანი რეზერვის მაქსიმალურად გამოყენებას, რათა წარმატებით შესრულდეს 1953 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და დამზადებათა გეგმები.

გაზეთების ფურცლებზე

მეორთქლმავლთა შეჯიბრება

გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ჯერ ორი წელია ეჯიბრება სანაინის (სომხეთის სსრ) საორთქლმავლო დეპოს კოლექტივს.

გურჯაანელი და სანაინელი მეორთქმლმავლეები ერთიმეორის ხშირი სტუმრები არიან. გურჯაანელები სანაინში, ხოლო სანაინელები გურჯაანში ყოფნის დროს ამოწმებენ სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას.

ამ დღეებში გურჯაანელ მეორთქმლმავლეებს ეწვიენ სომეხი მეგობრები, რომლებმაც სასიხარულო ამბები ჩამოიტანეს. სანაინის საორთქლმავლო დეპოს მუშაკებმა ორთქმლმავლების გარბენის 1953 წლის პირველი ნახევრის გეგმა 116,8 პროცენტით შეასრულეს, ჩოლო გარეცხვითი შეკეთებისა — 120 პროცენტით.

ნაკლებად როდი გაახარეს გურჯაანელმა მეორთქმლმავლეებმა სანაინელი თანამოძმენი. მათ ორთქმლმავალთა გარბენის 6 თვის გეგმა გაანადგურეს 136,5 პროცენტით, ხოლო გარეცხვითი შეკეთებისა — 119,7 პროცენტით.

მომძე რესპუბლიკების მეორთქმლმავლეთა სოციალისტურ შეჯიბრებას, სანაინელთა გურჯაანში სტუმრად ყოფნას გურჯაანის რაიონულმა გაზეთმა **„საკოლმეურნეო შრომამ“** 26 ივლისის ნომერში უძღვნა მთელი ფერდი საერთო სათაურით „მაღლა ავწიოთ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დროშა!“.

„საკოლმეურნეო შრომაში“ მოთავსებულ წერილებში როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები მოგვითხრობენ გურჯაანელი და სანაინელი მეორთქმლმავლეების ტრადიციული შეჯიბრების ცხოველმყოფელ ძალაზე, შეჯიბრების შედეგად მოპოვებულ დიდ საწარმოო გამარჯვებებზე, ამ შეჯიბრების მნიშვნელობაზე მომძე რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

„ჩვენი და გურჯაანელი მეორთქმლმავლეების ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ხალხთა შორის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციაა, — წერს სანაინის საორთქლმავლო დეპოს უფროსი მემანქანე, დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. სოსიანი. — ჩვენი ქართველი მეგობრების გულია მახპინძლობა, მათი დიდი თანაგრძნობა გვიახლეცებს სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას“.

მომძე რესპუბლიკების მეორთქმლმავლეთა შეჯიბრება გრძელდება. ამ შეჯიბრებით მიღწეულ წარმატებებს ისინი მიუძღვნიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს.

ახალი შენობები მაღაზიებისათვის

ბოქრი. სოფლად კულტურული ვაჭრობის უკეთ მოწყობისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება გორის რაიონში. წელს სოფელ ქვეშში, კარალეთში, მერეთში, შავშვებში და ხელთუბანში სავაჭრო მაღაზიებისათვის აშენდა ახალი შენობები. ძირითადად უკვე დამთავრებულია მაღაზიებისათვის შენობების მშენებლობა ზერტში და ბერშუეთში.

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა!

„ობიექტური“ მიზეზები

და სინამდვილე

ამ უკანასკნელ დღეებში წალკელმა კოლმეურნეებმა ერთგვარად გააძლიერეს ბუნებრივი ბალახის აღებისა და საკვების დასილოსების ტემპი. ყოველდღიურად 1.200-1.300 ჰექტარ თივას აღებენ. შრომის სწორად მოწყობით 10 სამუშაო დღეში საკვების დასილოსების წლიური დაგეგმვა რაიონში უკვე გაზიდებულია. 10.500 ტონა სასილოსე მასა მთლიანად ჩადებულია. ახლა კოლმეურნეები წლიური გეგმის გადამეტებით ასილოსებენ საკვებს.

დაწინაურდა სოფელ მოლოტოვის კოლმეურნეობა. აქ გეგმით 15 სამუშაო დღეში ათას ჰექტარზე უნდა აეღოთ თივა. ფაქტიურად ეს დავალება 5 დღით ადრე გაანაღდეს. ასევე შესრულეს საკვების დასილოსების გეგმაც.

რაიონში მეტი შესაძლებლობა არსებობს თივის სწრაფად და მეტი რაოდენობით აღებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პირობას ყველა კოლმეურნეობაში როდი იყენებენ. მაგალითად, სოფელ ახალიკის კოლმეურნეობაში ბუნებრივი ბალახის თიბვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. 14 სამუშაო დღეში აქ გათიბეს მხოლოდ 400 ჰექტარი, გეგმის 31 პროცენტი. ყურადღებას არ აქცევენ თივის შერჩევით აღებას და ბალახის „განუვითარებლობის“ მომიზეზებით ხელიდან უშვებენ თივის აღების საუკეთესო ვადებს.

კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. 375 კოლმეურნიდან თიბვაზე მუშაობს მხოლოდ 79. უფრო მეტიც: პირველი ბრიგადის წევრს ს. კაბასაკოვს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ფოტოვმა 28-29-30 ივლისს თიბვა მიატოვებინა და თბილისში გაუშვა კარტოფილის გასაყიდად. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობას საკმაო რაოდენობით ჰყავს მუშახელი, გამგეობა თივის აღებაზე ამუშავებს დაქირავებულ მუშახელს და ჰექტარის გათიბვაში აძლევს 70 მანეთს. საინტერესოა, რატომ ვერ ამჩნევს რაიონში ამ არასწორ პრაქტიკას კერძოდ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს უფროსი ბ. შახბაზოვი?

სოფელ ბეშთაშენის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა რაიონში. კოლმეურნეობამ გეგმით 1.700 ჰექტარი ბუნებრივი ბალახი უნდა გათიბოს, მაგრამ დღემდე დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული. მეოთხე ბრიგადის წევრები მ. დარიბოვა, ა. ქაშიბაზოვი, ფ. კულბატოვი და სხვები ხშირად აცდენენ სამუშაოს.

ზოგიერთი კოლმეურნეობის ნაკვეთში თივის შეგროვებისა და ძირებად დადგმის სამუშაოები საგანგაშო მდგომარეობაშია, ეს კი იწვევს თივის დანაკარგებს და აუარესებს მის ხარისხს. სოფელ გუნიაკალის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. შეირანონი) 7 დღის გათიბული თივა შეუგროვებელი დატოვეს მინდორში. 29 იულისს მეორე ბრიგადის (ხელმძღვანელი ნ. დემურჩიევი) წევრები ს. დელბაროვი, ე. ბოლიტოვი, ე. დელბაროვი და სხვები აგროვებდნენ გაუშშრალ თივას და ძირებად დგამდნენ. ჩვენ ვნახეთ, რომ აგროწესების უხეში დარღვევის შედეგად დამპალი იყო ძირებად დადგმული თივის ნაწილი, ხოლო მის გაშრობასა და გაშრობაზე თავს არავინ იწუხებს. მსგავსი ფაქტებია სოფელ წალკის, ავრალოს, ჯინიშისა და სხვა კოლმეურნეობებში.

სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის, რომ რაიონში სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარების საქმეში სერიოზული ჩამორჩენაა.

თივის ჩაბარებას დანაშაულებრივად აჭიანურებს სოფელ ავრალოს კოლმეურნეობა. 800 ჰექტარზე აღებული თივიდან მას არც ერთი ტონა არ ჩაუბარებია სახელმწიფოსათვის. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ წალკის, ბეშთაშენის, ბაშქოის და ნარდევანის კოლმეურნეობებშია.

რაიონში ორი მანქანა-ტრაქტორთა სადგურია. ისინი შეიარაღებული არიან მძლავრი ტექნიკით. მარტო წალკის მტს-ს აქვს 16 ცალი სათიბი მანქანა. მაგრამ დღემდე რატომღაც არც ერთი მათგანი არ არის გამოყენებული. მტს-ის დირექტორმა ამხ. გ. მჟავანაძემ განაცხადა: სათიბი მანქანების გამოყენების გეგმა არ დაუშვია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და ამიტომ ისინი გამოუყენებელია, თუმცა სოფლების არაკვევან-სარვანისა და ჩივთიჭილისის კოლმეურნეობებში შეეძლება გამოვიყენოთ სათიბი მანქანა და ამიერიდან ვეცდებით ვამუშაოთო.

დირექტორის ამ უპასუხისმგებლო განცხადებიდან ჩანს, რომ რაიონში თივის აღების საქმეში უგულებლყოფენ მექანიზაციას. თივის შესაგროვებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხენის ფოცხები. ეს საგრძნობლად შეამცირებს მოთხოვნილებას მუშახელზე. რაიონში ამის გაკეთება არ შეუძლიათ, რადგან მხოლოდ 2 ფოცხი აქვთ. დამატებით საჭიროა სულ მცირე 50 ცხენის ფოცხი. ამ საქმეში რაიონს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ.

წალკელმა კოლმეურნეებმა წელს ბუნებრივი ბალახი უდანაკარგოდ 26 ათას ჰექტარზე უნდა აიღონ. თუ მტს-ების მძლავრი ტექნიკა, შრომითი რესურსები მთლიანად არ გამოიყენეს, საეჭვოა, რომ გეგმა დროულად შეასრულონ და დანაკარგებიც თავიდან აიცილონ.

შ. ჭოტაეა,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

კომბაინერთა შეჯიბრების დიდი ძალა

1. აგრეგატი მიჰყავს სოლომონ რამაზაშვილს

ალაზნის ველზე გადაჭიმულა ახმეტის რაიონის კოლმეურნეობათა პურის ყანები. ერთი კოლმეურნეობის ნაკვეთი მეორე კოლმეურნეობისას ესაზღვრება. მართლაც პურის ზღვაა! თავთავი ისე მაღალი გაზრდილა, რომ, როგორც იტყვიან, ცხენიანი კაცი შიგ ჩაიმალება.

განუწყვეტლივ გუგუნებენ კომბაინები საკოლმეურნეო მინდვრებზე. მოსავლის აღების ქრონიკა სავსეა კოლმეურნეთა და მექანიზატორთა თავდადებული შრომის შესანიშნავი მაგალითებით...

ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთი. აქ პურის მკაზე მუშაობს ახმეტის მტს-ის განთქმული კომბაინერი სოლომონ რამაზაშვილი. კომბაინის აგრეგატზე ფრიალებს ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის გარდამავალი წითელი დროშა. შორიდანვე გარკვევით მოჩანს კომბაინზე დამაგრებული, წითელ მატერიაზე წარწერილი სიტყვები: „ჩვენი კომბაინის აგრეგატის კოლექტივი იბრძვის 650 ჰექტარისათვის“.

ეს სიტყვები რამაზაშვილის აგრეგატის კოლექტივს ყოველ წუთში მოაგონებს საპატიო ვალდებულებას, რაც მან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა. ს. რამაზაშვილის ინიციატივამ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის კომბაინერთა შეჯიბრების მოწყობის შესახებ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის ყველა კომბაინერს შორის. პირადად რამაზაშვილმა შეჯიბრებაში გამოიწვია სიღნაღის რაიონის ალაზნის მტს-ის ცნობილი კომბაინერი მიხეილ ლაზარიაშვილი.

მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეს ახმეტელი მექანიზატორი მთელ თავის 15 წლის გამოცდილებას ახმარს. კომბაინი „სტალინეც-6“, რომელზეც ის მუშაობს, სრულყოფილი მანქანაა, გამოცდილი მექანიზატორის ხელში სასწაულებს ახდენს.

დროის ეკონომია, ტექნიკის სრულყოფილად გამოყენება — აი ძირითადი, რისკენაც ისწრაფვის სოლომონ რამაზაშვილის აგრეგატის კოლექტივი. აქ შემუშავებულია დღის მკაცრი რეჟიმი. მკა იწყება დილის 6 საათიდან და გვიან ღამემდე გრძელდება. კარგ ამინდში კომბაინი ღამითაც მუშაობს.

წელს, ისევე როგორც მარშან, რამაზაშვილი საათობრივი გრაფიკით მუშაობს. ეს გრაფიკი მან შეადგინა სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირთან, უბნის აგრონომთან და მტს-ის აღმრიცხველთან ერთად. საათობრივი გრაფიკის გამოყენებამ კომბაინერს საშუალება მისცა გაედიდებინა მანქანის წარმადობა.

საათობრივი გრაფიკის ზუსტად დაცვისა და აგრეგატისადმი მზრუნველობის შედეგად რამაზაშვილმა საუკეთესოდ მოაწყო მუშაობა. იგი ყოველდღიურად საშუალოდ 25 ჰექტარს მკის. იყო დღეები, როცა სახელოვანი კომბაინერი 35 ჰექტარსაც მკიდა. წარმატების მოპოვებაში მას დიდ დახმარებას უწევენ ტრაქტორისტი არჩილ ჭიჭიაშვილი და მეშტურვალე ფირუზ ჩიმაველი.

სოფელ ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს მექანიზატორებს ყოველგვარი პირობა შეუქმნა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. შარშან აგრეგატის მუშაობას ხელს უშლიდა ის, რომ მისაბმელ მანქანებზე მომუშავენი ხშირად იცვლებოდნენ; ბუნკერიდან ხორბლის გადმოტვირთვა გვიანდებოდა, რადგან ავტომანქანების ნაცვლად ურმებს ამუშავებდნენ. ეს მდგომარეობა ახლა აღკვეთილია. მარცვალი კომბაინიდან მიაქვს ავტომანქანას, რომლის დატვირთვა აგრეგატის გაუჩერებლად ხდება. სრულ წესრიგზეა მოყვანილი მარცვალმჭერი, განხორციელებულია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი.

... კოლმეურნეობათა მექანიზებული კალოებიდან სახელმწიფო დამამზადებელი პუნქტებისაკენ განუწყვეტელ ნაკადად მიდის ახალი მოსავლის პური. ამაყობს სოლომონ რამაზაშვილი, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს.

მზიანი, მცხუნვარე დღეა. პურის ზღვიდან ალერსიანი ნიავი უბერავს. შუახნის შავგვრემანი ვაჟკაცი შუბლზე ხელს იჩრდილებს, ამაყად გასცქერის პურის ყანებს და ამბობს:

— კიდევ საკმაო პურია მოსამკელი. საქმე მოსწრებაზეა. ვერ უნდა გვაჯობოს მიხეილ ლაზარიაშვილმა.

ეს ვაჟკაცი სოლომონ რამაზაშვილია. მძლავრად გუგუნებს მისი აგრეგატი ზემო ხოდაშნის მინდვრებში, და ეს გუგუნი ახალი მოსავლის სიმღერაა!

კომბაინის აგრეგატს უკან მიჰყვებიან კოლმეურნეები. ისინი ხარობენ უხვი მოსავლით, ხშირად სინჯავენ პეშვით ბუნკერში ოქროსფრად მოლივლივე მარცვალს და ამბობენ:

— დალოცვილი ხორბალია! მძლავრი კომბაინები რომ არა, ხელით რა მომკიდა ამდენ მოსავალს...

2. მიხეილ ლაზარიაშვილთან, შირაქის ველზე

ეს იყო მოსავლის აღების უკანასკნელი დღეები სიღნაღის რაიონში. საკოლმეურნეო მინდორში კომბაინთა გუგუნი მინელდა. ნაომარ ველს დაემსგავსა შირაქი. ზოგან ნაყანევი მოჩანს, ზოგან კი — მძლავრი ტრაქტორებით გადაშავებული ადგილები.

ალაზნის მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომლის მექანიზატორები იმ დღეს შირაქის ველზე მუშაობდნენ, სიღნაღის რაიონში ერთ-ერთი დიდი სადგურია. იგი იმითაც არის შესანიშნავი, რომ სახელგანთქმული კომბაინერი ჰყავს — ორგზის ლენინის ორდენოსანი მიხეილ ლაზარიაშვილი.

სანამ მოსავლის აღებაზე დავიწყებდით ბაასს, სიტყვა ლაზარიაშვილზე ჩამოვაგდეთ. მტს-ის დირექტორმა ამხ. პ. გელაშვილმა გვაცნობა, ლაზარიაშვილი დღეს უკვე ამთავრებს ყანის მკასო.

— ამჟამად იგი შირაქის ველზეა. სულ მალე დასრულებს მუშაობას. ეშშობ, მკის დროს ვერ მივუსწროთ.

კარგია ყოველი ციფრი, რომელიც გვამცნობს გამარჯვებას. მაგრამ უფრო კარგია, როცა პირადად შეხვდები ადამიანებს, რომლებიც ჰედდნენ ამ ციფრებს. ამიტომ აღგვეძრა სურვილი ლაზარიაშვილი გვენახა არა დირექტორის კაბინეტში, არამედ ველზე, იქ, სადაც ყოფება უხვი მოსავლის ბედიღბალი.

მივქრიოართ შირაქის ველზე... აი გამოჩნდა კიდეც კომბაინის აგრეგატი.

— „უკანასკნელი ლუკმა“ — ასე ვუწოდეთ იმ უკანასკნელ ჰექტარებს, რომლებსაც ამ სეზონში შირაქის ველზე მკიდა კომბაინერი ლაზარიაშვილი, — აგვიხსნა მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტნაწილში ამხ. ჯ. ცაბუტაშვილმა.

— ეტყობა, ამ ლუკმასაც ლაზარიაშვილის კომბაინი კარგად „ულაპავს“, — ხუმრობით მივუგეთ მოსაუბრეს.

სულ ორიოდე მეტრი-ღა დარჩა მოსამკელი. ლაზარიაშვილმა „სტალინეც-6“ გაანჯრა. როგორც ჩანს, „ენანება“, რომ მოსამკელი ყანა თავდება. მივუახლოვდით თუ არა, იგი შემოგვეგება მზისგან გაშავებული. მისალმების შემდეგ საუბარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე ჩამოვაგდეთ.

კომბაინერმა ხალისით გვიპასუხა:

— ჩვენი აგრეგატის კოლექტივის ვალდებულება იყო 650 ჰექტარი პურეულის 25 დღეში აღება. სოციალისტურ შეჯიბრებაშიც ამ მიზნით ჩავებით. ჩვენ უკვე შევასრულეთ ეს ვალდებულება 20 სამუშაო დღეში. ახლა კი სამკელი არაფერია.

ეს სიტყვები იმას ნიშნავდა, სამკალი მოგვეცით და, იცოცხლეთ, ვალდებულებას გადავაჭარბებთო. მაგრამ ვალდებულება მაინც წარმატებით იქნა განაღდებული: მოსავალი ხუთი დღით ადრე უდანაკარგოდ არის აღებული.

სოციალისტური შეჯიბრება თვითმიზანი როდია. მისი დანიშნულება და აზრი სწორედ ის არის, რომ მიღწეულ იქნას საერთო აღმავლობა. ეს კარგად აქვთ შეგნებული აქაც, შირაქის ველზე მომუშავე ალაზნელ მექანიზატორებს.

ლაზარიაშვილი დაინტერესდა კომბაინერ რამაზაშვილის მაჩვენებლებით. როცა გაიგო, რომ მის ახმეტელ თანამოსაქმეს უკვე 400 ჰექტარი აქვს მომკილი, ჩაფიქრდა და თქვა:

— მან გვიან დაიწყო მკა, მაგრამ ვალდებულებას გადაამეტებს.

და განა ეს საწყენად დარჩება ლაზარიაშვილს? სამშობლოს საკეთილდღეოდ განკუთვნილი თვითეული თავთავი მის გულს ახარებს და ატკბობს!

მიხეილ ლაზარიაშვილმა მოსავლის აღების უკანასკნელ დღეებამდე მტკიცედ შეინარჩუნა მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მას მიეკუთვნა სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. მასთან ერთად ეს საპატიო დროშა ზაფხულის მცხუნვარე დღეებში სასახელოდ გამოატარეს მეშტურვალე ბიძინა ჭუჭულაშვილმა, ტრაქტორისტმა ვასილ ტრასალუბოვმა.

ვინ დათვლის, რამდენი ასეული ცენტნერი ხორბალი გაულეწია ლაზარიაშვილს კომბაინერად მუშაობის ოცი წლის მანძილზე! მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში მან სამშობლოს გაულეწა 21.500-ზე მეტი ცენტნერი პური. წლევანდელი, მეოცე სეზონი ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში დიწყო. აქ ცხრამეტ დღეს იმუშავა. უკანასკნელ დღეს კი — ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში. მთელი სეზონის განმავლობაში დღეში საშუალოდ 25 ჰექტარს მკიდა.

3. პატაკი სამშობლოს

ალაზნელმა მექანიზატორებმა წელს 7.400 ჰექტარზე აიღეს პურის მოსავალი. მოსავლის აღების უკანასკნელ დღეს მტს-ის დირექტორმა კმაყოფილებით თქვა:

— დღეს საღამოს უკვე შეგვიძლია ვუპატაკოთ დედა-სამშობლოს, რომ ძანქანა-ტრაქტორთა სადგურმა კოლმეურნეთა თავდადებული შრომით მოყვანილი მოსავლის აღება დაამთავრა!

მოსავლის აღება დამთავრებულია... რამდენი შრომა, რამდენი ოფლი დასჭირდა ამ სამი სიტყვის მოპოვებას! შირაქის ველზე უკვე წყდება კომბაინის უკანასკნელი გუგუნი. პურის ფრონტი მიიწევს წინ და წინ, აქ უკვე „ღრმა ზურგია“. ალაზნელმა მექანიზატორებმა თავიანთი სამი კომბაინი „მოწინავე პოზიციებზე“ — ახმეტის რაიონში გადაისროლეს, რათა დაეხმარონ მოსავლის აღებეთ. ისინი სხვა რაიონშიც კარგად ამართლებენ პურის ფრონტის გმირთა სახელებს.

როცა ბრძოლა რომელიმე მაღლობისათვის წარმატებით თავდება, პოლკის მეთაური კითხულობს, თუ ვინ დაავერგვინა წითელი დროშის ატანა და მაღლობზე დამაგრება. ახლაც საინტერესო იყო გაგვეგო იმ კომბაინერთა სახელები, რომლებმაც საბოლოოდ დაავერგვინეს მოსავლის აღების დამთავრება. აი ისინი: მიხეილ ლაზარიაშვილი, ვასილ ონოფრენკო, გიორგი გალკინი, ნიკო ჭუჭულაშვილი, შოთა გვილავა. მათ გარდა მოწინავენი აქ ბევრი ჰყავთ. მათ შორის დავასახელებთ მიხეილ ლაზარიაშვილის აღზრდილს გიორგი ჭუჭულაშვილს, რომელიც ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა. მან „სტალინეც-6“-ით ოც სამუშაო დღეში 600 ჰექტარზე აიღო პური. აქვე უნდა დავასახელოთ კომბაინერი გიორგი ასანიშვილი, რომელმაც ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში 494 ჰექტარი მომკა და 3.200 ცენტნერი პური გალეწა. ორივე კომბაინერი მიხეილ ლაზარიაშვილს ეჯიბრებოდა. მართალია, ორივესთან ლაზარიაშვილმა გაიმარჯვა, მაგრამ გული არც ერთს არ დაწყვეტია, რადგან მათაც კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

მოწინავეთა სია გრძელდება... „კომუნარის“ მარკის კომბაინზე მომუშავე ილია ზურაშვილი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო კომბაინერ გიორგი ბიკლაურთან, გამარჯვებული გამოვიდა. მან 320 ჰექტარი პური მომკა ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. კომბაინერმა გიორგი პეტრიაშვილმა „კომუნარიის“ 325 ჰექტარზე აიღო მოსავალი ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ნაკვეთში. მათ არ ჩამორჩა ვახტანგ ტალიაშვილი.

კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლებოდა. კომბაინერებმა შეასრულეს თავიანთი სიტყვა. ისინი დედა-სამშობლოს უპატაკებენ: ვალდებულება განაღდებულია!

**ს. არლუ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი

ვოსკოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მხურვალე ძმურ სალამს გიძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდამეათე წლისთავის გამო.

ლონდონიდან, სადაც 1903 წელს მიმდინარეობდა თქვენი პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, გიგზავნით მოლოცვას თქვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი - სახელოვანი ხელმძღვანელობის ორმოცდამეათე წლისთავის გამო. თქვენი სიფხიზლე, რომელიც ყველა მტრისა და გამთიშველისაგან იცავს პარტიას, მაგალითია ჩვენთვის. თქვენი თანმიმდევრული ბრძოლა მშვიდობისათვის, რომელიც დღეს გამოიხატება საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივით, აღაფრთოვანებს მშვიდობის ყველა მომხრეს და ხელს უწყობს მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ჩვენი ბრძოლის გაძლიერებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ინგლისელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას!

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით
ჰარი პოლიტი.

ბოსკოვი, კრემლი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძმურ საბრძოლო სალამს გიძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო.

მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ამ ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენ გვინდა გამოვთქვათ ჩვენი მადლობა იმ ძვირფასი გამოცდილებისათვის, რომელსაც მთელი ამ 50 წლის მანძილზე თქვენი პარტია — მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე რევოლუციური მარქსისტული პარტია — უზიარებდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს.

ჩვენი ბრძოლის ყველა ეტაპზე შეგვეძლო გვესწავლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდიდარი გამოცდილებით, მისი მამაცური ბრძოლით როგორც გარეშე მტრების, ისე პარტიაში შემოპარული მტრების წინააღმდეგ, მისი მებრძოლი თეორიით და მთელი მსოფლიოს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის პროლეტარიატის ძალების დარაზმვისა და წარმართვისათვის ბრძოლის ფორმებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის მშენებლობასა და მშვიდობის ძალთა განმტკიცებაში მიღწეული გიგანტური შედეგები ახლა ფინეთის მშრომელ ხალხს რწმენას ულერგავს და აღაფრთოვანებს რეაქციის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობის გამთიშველთა წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ფინელი ხალხის მშვიდობის, კეთილდღეობისა და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ-სტალინურ კომუნისტურ პარტიას — მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს და მის ნაცად, ბრძოლებში გამოწრთობილ ცენტრალურ კომიტეტს!

ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდამეათე წლისთავს.

საფრანგეთის კომუნისტები და ყველა რევოლუციური მშრომელი დიდი მადლობით მიესალმება საბჭოთა კავშირის გმირ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ნიმუშს წარმოადგენს ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის.

1903 წელს მუშათა კლასის ნამდვილად მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნამ უზრუნველყო 1917 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, გამოიწვია პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გაჩენა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ახალი ტიპის მუშათა პარტიების შექმნა და განმტკიცება.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, სათავეში უდგას რა მუშათა კლასისა და ფრანგი ხალხის ბრძოლას, ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძირითადი პრინციპებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაგალითის მიხედვით, საფრანგეთის კომუნისტური პარტია იბრძვის მშვიდობის დასაცავად, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა შენარჩუნებისათვის, ისწრაფვის შექმნას მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი, ეროვნული და დემოკრატიული ძალების გაერთიანების საფუძველი, რაც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ პოლიტიკის სრულ შეცვლას.

ბრძოლისადმი დაუცხრომელი მისწრაფებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ ვაცხადებთ, რომ უსაზღვროდ ერთგული ვართ ლენინ—სტალინის პარტიისა, საბჭოთა კავშირის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელის და ორგანიზატორისა, საბჭოთა კავშირის, რომელმაც იხსნა კაცობრიობა და საფრანგეთი ფაშისტური ბარბაროსობისაგან და წარმოადგენს მშვიდობის ბანაკის მტკიცე ბურჯს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ყოვლისმძლე სინამდვილედ აქცია 1871 წლის კომუნართა დიადი იმედები. მთელი მსოფლიოს მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმის გრძნობით მიესალმებიან სსრ კავშირის წარმატებების წინსვლას კომუნიზმის მშენებლობის გზით.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ბოსკოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ორმოცდამეათე წლისთავის გამო მხურვალე ამხანაგურ სალამს გუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელსა და წარმმართველ ძალას, ხალხთა მშვიდობის დიდ დამცველს, დიდებულ მაგალითს ყოველი კომუნისტური და მუშათა პარტიისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც ჩვენს პარტიასაც გზას უჩვენებს ჩვენი მშრომელი ხალხის მზარდი კეთილდღეობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ძლევამოსილ ბრძოლაში.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ბოსკოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას

ავსტრალიელი კომუნისტები სალამს უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მისი 50 წლისთავის გამო. თქვენი შესანიშნავი მიღწევები სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობასა და საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისათვის ბრძოლაში მუდამ აღაფრთოვანებენ ყველა ქვეყნის მუშათა კლასს.

შარკი,
ავსტრალიის კომუნისტური პარტიის მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ბოსკოვი

საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, პარტიისა, რომელიც გამოჭედეს კაცობრიობის დიდმა გენიოსებმა ლენინმა და სტალინმა, ცენტრალური კომიტეტის წევრებს, მათს ერთგულ თანამოსაგრეებსა და თანამებრძოლებს, აგრეთვე მოძმე პარტიის წევრებსა და გმირ საბჭოთა ხალხს მხურვალედ ვულოცავთ და ძმურ სალამს ვუძღვნით კომუნისტების სახელით, რომლებიც იზიარებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიას, რომელიც გამოიჭედა მუშათა კლასისა და ხალხის ყველა აშკარა და ფარული მტრის წინააღმდეგ ნახევარი საუკუნის შეუპოვარი ბრძოლის განმავლობაში, არგენტინის მთელი მუშათა კლასისა და მშვიდობისმოყვარე არგენტინელი ხალხის სახელით, რომელიც იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს პარტია ხვდება კიდევ უფრო ერთიანი და დარაზმული თავისი მარქსისტულ-ლენინური ხელმძღვანელობის გარშემო, ხვდება როგორც პარტია, რომელიც გაუუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ხალხთან კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი ისტორიული ამოცანების განხორციელებაში. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო და არის ბრწყინვალე მაგალითი. იგი გზას უნათებს ყველა ქვეყნის კომუნისტებს, რომელნიც მუდამ სწავლობდნენ და სწავლობენ მის ისტორიას, რათა იცოდნენ, თუ როგორ იბრძოლონ წარმატებით შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ და მიაღწიონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტია არა მარტო კომუნისტების, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობის იმედი და ხელმძღვანელი გახდა. მის ძვირფას მოძღვრებასა და მის ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომუნისტები მტკიცე რწმენით მიდიან იმ მიზნის მიღწევისაკენ, რომელსაც ესწრაფვის მსოფლიოს ყველა ხალხი: სოციალური კეთილდღეობა, დემოკრატია და სოციალიზმი. საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას არსებობის 50 წელი შეუსრულდა სწორედ იმ მომენტში, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა მადლობის გრძნობით გამსჭვალული შეჰყურებს მას. საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულმა სამშვიდობო პოლიტიკამ თავიდან აგვაცილა ახალი მსოფლიო ომის წარმოშობა და ჩააქრო ომის კერა, რომელიც იმპერიალისტმა აგრესორებმა გააჩაღეს კორეაში, საფუძველი ჩაუყარა მოლაპარაკებას ომის ამ კერის ლიკვიდაციისათვის და ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ყველა ხალხისა და ერის მშვიდობიან თანაარსებობას.

აღფრთოვანებულნი თქვენი ძვირფასი მოძღვრებითა და ნახევარი საუკუნის პრაქტიკული მოღვაწეობით, რაც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავთან (1903-1953) დაკავშირებით გამოშვებულ თქვენს ისტორიულ დოკუმენტში, რომელიც ხელს შეუწყობს მარქსიზმ-ლენინიზმის კიდევ უფრო ზედმიწევნით შესწავლას, ჩვენ, არგენტინელი კომუნისტები, კიდევ უფრო მტკიცედ ვიბრძოლებთ ჩვენი მუშათა კლასის, გლეხობისა და ჩვენი ქვეყნის მთელი პროგრესული ძალების გასაერთიანებლად თავისუფლების, სოციალური კეთილდღეობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის ეროვნულ-დემოკრატიულ ფრონტში. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მთელ მსოფლიოში შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა, რომლის მედროშეც საბჭოთა კავშირია.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს, პარტიისა, რომელიც აღზარდეს კაცობრიობის დიდმა გენიოსებმა ლენინმა და სტალინმა, პარტიისა, რომელსაც წარმართავენ მათი თანამოსაგრეები და თანამებრძოლები, პარტიისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხები მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში, პარტიისა, რომელიც მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს გვიჩვენებს!

არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ბუენოს-აირესი.

საბჭოთა კავშირ-ინლანდიის სავაჭრო ურთიერთობისათვის

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის განვითარების ჟენევის კონფერენციაზე 1953 წლის აპრილში დამყარებული კონტაქტის შედეგად, მოსკოვში ივნისში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ინლანდიის საგაჭრო მოლაპარაკება, რომელიც ამა წლის 1 აგვისტოს დამთავრდა სსრ კავშირსა და ინლანდიას შორის საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით.

შეთანხმებით დადგენილია საქონლის ურთიერთმიწოდება თორმეტი თვის პერიოდისათვის კლირინგული ანგარიშსწორებით.

სსრ კავშირი ინლანდიას მიაწვდის ნავთობ პროდუქტებს, ფქვილს, ცემენტს, ლითონის ნაკეთობასა და სხვა საქონელს.

ინლანდია სსრ კავშირს მიაწვდის ზურგიელს, დამარილებულ და გაყინულ ქაშაყს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

რუმინეთში გამოიცა თეზისები „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი (1903-1953)"

ბუქარესტი, 1 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თეზისები „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)".

ბროშურა გამოიცა 100 ათას ცალად.

ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა მეგობრობის დღე

პრაღა, 1 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პრაღაში გაიმართა რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა მეგობრობის დღეს. პლენუმს დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რკინიგზების მინისტრი ოუზეფ პოსპიშილი, აგრეთვე საუკეთესო მემანქანეები, მატარებლების შემდგენლები, დისპეტჩერები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ კოსმა.

მინისტრი პოსპიშილი შეეხო იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის რკინიგზელთა წინაშე დგას ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაციის საქმეში. მან აღნიშნა, რომ საჭირო ჩეხოსლოვაკიის რკინიგზებზე უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული საბჭოთა რკინიგზელების შრომის მოწინავე მეთოდები.

საბჭოთა კინოფილმების წარმატება ალბანეთში

ტირანა, 1 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კინოფილმები უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ ალბანეთში. ალბანეთის ეკრანებზე უჩვენებენ 100-მდე მხატვრულ, ბევრ დოკუმენტალურ, ქრონიკალურ, სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს. წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საბჭოთა კინოფილმები ნახა 2.018 ათასმა მაყურებელმა.

აკადემიკოსი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ზელინსკი — 80 წლისთავზე

ნ. დ. ზელინსკი.

1953 წლის 31 ივლისს სიცოცხლის 93-ე წელს გარდაცვალა სოციალისტური შრომის გმირი, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატი მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი აკადემიკოსი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ზელინსკი.

ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ზელინსკის სახით მეცნიერებამ დაკარგა უდიდესი ქიმიკოსი-ორგანიკოსი, მრავალმხრივი მეცნიერი, ქიმიკოსთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი. იგი ქიმიის სხვადასხვა დარგის 250-ზე მეტი ორიგინალური მეცნიერული შრომის ავტორია. ნიკოლოზ დიმიტრის-ძის ნაშრომები ორგანული კატალიზის, სინთეზისა და ორგანული ქიმიის სხვა დარგებში მუდამ წამყვანი გამოკვლევები იყო მსოფლიო მეცნიერებაში.

ნ. დ. ზელინსკიმ მოახდინა შესანიშნავი აღმოჩენები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა დაეწყოთ ნავთობისაგან არომატული ნახშირწყალბადის სამრეწველო წარმოება. ღრმად იყო რა დაინტერესებული ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნედლეულიწყაროთი — ნავთობით, ნ. დ. ზელინსკიმ დიდი შრომა მოახმარა ნავთობთა შემადგენლობის გამოკვლევის მეთოდებს და საბჭოთა კავშირის ნავთობთა და ნავთობპროდუქტთა ბუნების შესწავლას. ნ. დ. ზელინსკის გამოკვლევებმა ცილების დარგში შესაძლებელი გახადა ახლებურად მივდგომოდით ამ უმნიშვნელოვანეს ნივთიერებათა აღნაგობის საკითხის გადაჭრას. იგი პირველი საბჭოთა აირწინაღის ავტორია.

დაიწყო რა მეცნიერული მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1884 წელს, ნიკოლოზ დიმიტრის-ძე მუდამ იკრებდა გარშემო ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევართა და ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეცნიერული სკოლა შექმნა საბჭოთა კავშირში. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში, ქარხნებში და უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებზე მუშაობენ ნიკოლოზ დიმიტრის-ძის მოწაფეები.

ნიკოლოზ დიმიტრის-ძე მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იყო. საბჭოთა ადამიანებმა იციან, თუ რა მხურვალედ მოუწოდებდა იგი მეცნიერებს, ახალგაზრდობას —დაეცვათ მშვიდობის საქმე.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოს ნ. დ. ზელინსკის დამსახურებას, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა მას და დააჯილდოვა ლენინის შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და ოთხი ორდენით და ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ზელინსკი მთელი სიცოცხლის მანძილზე ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი იყო. დიდ მომთხოვნელობასა და მეცნიერებაში პრინციპულობას ახამებდა თავისი მოწაფეებისა და თანამშრომლებისადმი გულისხმიერებასა და ყურადღებასთან.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს შესანიშნავი მეცნიერით და საბჭოთა სამშობლოს მხურვალე პატრიოტით, რომელმაც მთელი სიცოცხლე სოციალისტური სამშობლოს სამსახურს მოახმარა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო

ნავთობის მრეწველობის სამინისტრო

ქიმიური მრეწველობის სამინისტრო

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის მეცნიერებათა განყოფილება

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ახალი ჩარხები

ლენინგრადი. (საკდესი). დამყოფი თავების ქარხნის კოლექტივმა ათთვისა ახალი სახეობის პროდუქციის — ნახევარავტომატი კბილსაღარავი ჩარხების გამოშვება. ისინი განკუთვნილია საათის ბაწაწინა კბილანების და ზუსტი ხელსაწყოს დასამზადებლად.

ჩარხები მეტად მარტივი სამართავია. მუშები მხოლოდ დაამაგრებენ ნამზადს, სპეციალური ხელსაწყოებით გაარკვევენ მექანიზმების მუშაობის რეჟიმს და გადმოიღებენ მზა პროდუქციას. ჩარხი დეტალს გააკეთებს ადამიანის დაუხმარებლად და მუშაობის დამთავრების შემდეგ ავტომატურად გამოირთვის. თვითეულ მუშას შეეძლება რამდენიმე მანქანის შომსახურება.

ჩარხები, რომლებსაც ახლა უშვებენ, პირველ ნიმუშებზე ნაყოფიერია, მათი თვითღირებულება შემცირებულია 27 პროცენტით.

საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავ „ილ-12"-ზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავეგის თავდასხმის გამო

ამ დღეებში გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი. ნოტაში ნათქვამია, რომ კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების შემოწმებული ცნობებით ა. წ. 27 ივლისს, 6 საათსა და 28 წუთზე მოსკოვის დროით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფარგლებში შეჭრილმა ამერიკის 4 ავიაგამანადგურებელმა ქ. ხუადიანის რაიონში, ჩინეთ-კორეის საზღვრიდან 110 კილომეტრზე, იერიში მიიტანა საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავ „ილ-12"-ზე, რომელიც რეგულარულ გაფრენას ასრულებდა პორტ-არტურიდან სსრ კავშირისაკენ დაწესებული ტრასით, და ჩამოაგდო იგი. თვითმფრინავთან ერთად დაიღუპა იქ მყოფი 15 მგზავრი და ეკიპაჟი 6 კაცის შემადგენლობით.

საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მტკიცე პროტესტი განუცხადა საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ამ პირატული თავდასხმის წინააღმდეგ.

ამჟამად ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც ხელს აფარებს ამერიკის სამხედრო ხროვის დანაშაულებრივ მოქმედებას, ცდილობს ისე წარმოადგინოს საქმე, ვითომც ამერიკის თვითმფრინავებმა ა. წ. 27 ივლისს საბჭოთა თვითმფრინავი „ილ-12" ჩამოაგდეს ჩრდილოეთ კორეის თავზე თითქოს რვა მილზე მდინარე იალუძიანიდან. ამერიკის პრესა აშკარა მიზეზებით, ცდილობს რა დაფაროს ამერიკელ მფრინავთა დანაშაულის კვალი, მხარს უჭერს ხსენებულ ვერსიას. მაგრამ ამ ცრუ ვერსიას ფაქტები აბათილებენ.

როგორც ჩანს ქვემოთ გამოქვეყნებული რუკიდან, რომელზეც აღნიშნულია სამგზავრო თვითმფრინავ „ილ-12"-ის დაღუპვის რაიონი, ამ თვითმფრინავზე, როცა იგი თავის მორიგ რეისს ასრულებდა 27 ივლისს, იერიში მიიტანეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფარგლებში შეჭრილმა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა 110 კილომეტრზე ჩინეთ-კორეის საზღვრიდან, ქ. ხუადიანის რაიონში, და ჩამოაგდეს იგი. ქ. ხუადიანის გეოგრაფიული კოორდინატები, როგორც ცნობილია, არის ჩრდილოეთის განედის 42° 58', აღმოსავლეთის გრძედის 126° 43'.

ზუსტად არის დადგენილი, რომ ამერიკის ოთხი ავიაგამანადგურებელი „F—86", მათ შორის ის თვითმფრინავი, რომელსაც პილოტობდა მეკობრე მფრინავი რალფ ს. ბარი, რომელმაც საბჭოთა თვითმფრინავი ჩამოაგდო, 27 ივლისს საბჭოთა თვითმფრინავზე თავდასხმამდე ერთხანს დაფრინავდა ქ. ხუადიანის რაიონში, რაც ამხილებს ამერიკელ მფრინავებს წინასწარ განზრახულ მოქმედებაში იმ მიზნით, რომ მათთვის ცნობილ ტრასზე გზა გადაეკრათ საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავისათვის.

ასეთია ნამდვილი ფაქტები, რომლებიც უცილობლად მოწმობენ ჰაერის ამერიკელ მეკობრეთა მიერ ქ. ხუადიანის რაიონში ჩადენილ დანაშაულს.

(საკდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი

პეკინი, 1 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტო იტყობინება: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება ჩინეთში ამერიკის თვითმფრინავების დანაშაულებრივი შეჭრისა და ჩინეთის ტერიტორიაზე საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავზე მათი თავდასხმის წინააღმდეგ. განცხადებაში ნათქვამია:

ჩინეთის მთავრობის მიერ მიღებული შემოწმებული ცნობების თანახმად, ამერიკის 324 სამხედრო თვითმფრინავი 53 ჯგუფად შეიჭრა ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო სივრცეში 1953 წლის 27 ივლისს და მოახდინა შემაშფოთებელი თავდასხმები. ამ რიცხვიდან ამერიკის 78 სამხედრო თვითმფრინავმა 15 ჯგუფად დაზვერვის მიზნით გადაუფრინა ლიაოდუნის პროვინციის ბენსის, გაიპინს, ანშანს, ხაიჩენს, ტუნხუასა და ლიუხეს, გირინის პროვინციის ხუადიანს, ჩანჩუნს და გუნჯულინს, აგრეთვე ლიაოსის პროვინციის მუკდენის სამხრეთით მდებარე რაიონს.

ამერიკის ზემოაღნიშნული სამხედრო თვითმფრინავებიდან, რომლებიც ჩინეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრნენ, ოთხი სამხედრო თვითმფრინავი „F-86“ ჩინეთის ტერიტორიაზე შეიჭრა ლინძიანის რაიონიდან 27 ივლისის 11 საათსა და 12 წუთზე და გადაუფრინა ცხადიანის რაიონს 11 საათსა და 19 წუთზე დაზვერვისა და შეშფოთების შექმნის მიზნით და შემდეგ 11 საათსა და 28 წუთზე კურსი აიღო სამხრეთისაკენ. ამერიკის სამხედრო თვითმფრინავთა ამ ჯგუფმა იერიში მიიტანა და ჩამოაგდო სამგზავრო თვითმფრინავი „ილ-12“, რომელიც ეკუთვნოდა ჩვენს მეგობარ მეზობელს — საბჭოთა კავშირს. სამგზავრო თვითმფრინავი მიფრინავდა თავისი ჩვეულებრივი მარშრუტით პორტ-არტურ-დალნის რაიონიდან საბჭოთა კავშირში. თვითმფრინავში მყოფი მგზავრები და ეკიპაჟის წევრები — სულ 21 კაცი — დაიღუპნენ.

კორეის ომის დაწყებიდან შეერთებული შტატების აგრესიულ ელემენტებს ბევრჯერ უბრძანებიათ თავიანთი სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის შეჭრილიყვნენ ჩინეთის საჰაერო სივრცეში და პროვოკაციული მოქმედებით დამუქრებოდნენ ჩინეთს, ამაოდ ცდილობდნენ რა გაეფართოებინათ კორეის ომი და კიდევ უფრო მეტად შეერყიათ მშვიდობის საქმე შორეულ აღმოსავლეთში. ამ შემთხვევაში ჩინეთის საჰაერო სივრცეში შემოჭრილ ამერიკის თვითმფრინავთა რიცხვი და ტერიტორიის სიდიდე, რომელმაც ჰაერიდან თავდასხმა განიცადა, ყველაზე დიდი იყო განვლილ სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს, აგრეთვე ჩვენი მეგობარი მეზობლის — საბჭოთა კავშირის სამგზავრო თვითმფრინავზე პირატული თავდასხმა წარმოადგენს ყველაზე სერიოზულ დანაშაულებრივ პროვოკაციას ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგ. ჩინელი ხალხი დიდად აღშფოთა ამან.

ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფლებმა წინასწარი განზრახვით აირჩიეს კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დღე ჩინეთის საჰაერო სივრცის ამ სერიოზული პროვოკაციული დარღვევისათვის, მოწმობს იმას, რომ შეერთებული შტატების აგრესიულ ელემენტებს არა სურთ ცნონ თავიანთი დამარცხება კორეაში. ჩინელი ხალხი დაუცხრომლად გაძლიერებს სიფხიზლეს და მზადყოფნას ომის ამერიკელი გამჩაღებლების ყველა შესაძლო აგრესიული ავანტიურისტული აქტის წინააღმდეგ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა ამით მტკიცე პროტესტს აცხადებს იმ დანაშაულის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა ჩაიდინეს და რომელიც გამოიხატა ჩინეთის საჰაერო სივრცეში შეჭრით და საბჭოთა კავშირის სამგზავრო თვითმფრინავზე თავდასხმით, და მთელი სერიოზულობით აცხადებს, რომ შეერთებული შტატების მთავრობას უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა აგრესიის ამ დანაშაულებრივი აქტისათვის.

მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალის საზეიმო გახსნა

ბუქარესტი, 2 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს 23 აგვისტოს სახელობის კულტურისა და სპორტის პარკის სტადიონზე ზეიმით გაიხსნა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალი.

სტადიონი ხალხით არის გაჭედილი... ისმის მრავალ ენაზე ლაპარაკი, სიმღერები. ცის ლაჟვარდში ფრიალებენ ყველა ერის ალმები. ფესტივალისა და მშვიდობის თეთრ და ცისფერ დროშებთან შენაცვლებით ეს ალმები გარს აქვს შემოვლებული ტრიბუნებს.

ცენტრალური ტრიბუნის პირდაპირ, რომელსაც აგვირგვინებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გერბი, მოჩანს ფესტივალის ემბლემები და სიტყვები: „მშვიდობა და მეგობრობა!“, რაც მრავალ ენაზე გაისმის როგორც მოწოდება, როგორც ფიცი.

აი მიწყნარდა სიმღერები და ლაპარაკი. ცენტრალურ ტრიბუნაზე გამოჩნდნენ რუმინეთის მუშათა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გ. გეორგიუ-დეჯის მეთაურობით. გაისმის ფანფარების ხმა. საზეიმო მარშით მოდის მეწინავე კოლონა. წინ ფრიალებს ფესტივალის თეთრი დროშა. მას მოჰყვებიან ქალაშვილები და ჭაბუკები ხუთი დიდი სახელმწიფოს ეროვნული ალმებით.

ახალგაზრდობის ჯგუფებს მოაქვთ ფესტივალის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დროშები და ემბლემები. მოდიან ფესტივალის მონაწილე დელეგაციები, რომლებსაც დამსწრენი მქუხარე ოვაციით ხვდებიან, იწყება 28 ათასი ქალაშვილისა და ჭაბუკის — 106 ქვეყნის წარმომადგენლების პარადი. იგი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

...ჩაიარეს ალბანეთის ახალგაზრდობის დელეგატებმა, შემდეგ ახალგაზრდა არგენტინელებმა; ისინი შეცვალეს ავსტრალიის, ავსტრიის, ბელგიის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, ბულგარეთის, კანადის, ცეილონის, ჩილის დროშების შემდეგ გამოჩნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროშა. მაყურებლები ფეხზე ადგარნი მიესალმნენ ჩინელ სტუმრებს შეძახილებით „მშვიდობა და მეგობრობა!“.

ტრიბუნებს ჩაუარეს სულ ახალი და ახალი ქვეყნების ანსამბლების მონაწილეებმა, სპორტსმენთა კოლონებმა. მოდიან ფრანგები, რომლებიც მარსელიეზას მღერიან. ქალაშვილთა და ჭაბუკთა დიდი კოლონის წინ ფრიალებს გერმანიის დელეგაციის შავ-წითელ-ოქროსფერი დროშა. შემდეგ ტრიბუნებს ჩაუარეს დიდი ბრიტანეთის დელეგატებმა. მათ მოჰქონდათ ტრანსპარანტი ლოზუნგით: „მთელი ძალღონე მოვახმაროთ მშვიდობის საქმეს“. მოდიან ინდოეთის, ინდონეზიის ახალგაზრდა წარმომადგენლები. ინდონეზიელთა კოლონის თავზე ფრიალებს ალამი წარწერით: „ერთიანობა — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის“.

დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ შვილებს. მათ ესროდნენ ყვავილებს, მათ ხელში იყვანდნენ და მიჰყავდათ ტრიბუნების წინ...

გაატარეს ნორვეგიის, პაკისტანისა და პოლონეთის ეროვნული დროშები და მთელი სტადიონი კვლავ ფეხზე ადგა, როცა გამოჩნდა საბჭოთა კავშირის წითელი დროშა, რომელსაც ქარი აფრიალებს. დროშას მოჰყვებიან ქალაშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც მოაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი, საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების დროშები და გერბები. ყველგან ტრიბუნებიდან გაისმის „ვაშა!“ და შეძახილები „სსრ კავშირი—მშვიდობა!“, „მშვიდობა და მეგობრობა!“.

საბჭოთა დელეგაციის შემდეგ ჩაიარეს ესპანეთის, შვეიცის, ტუნისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ურუგვაისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდობის დელეგაციებმა. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ვიეტნამის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

ფესტივალის მონაწილეთა პარადი დამთავრდა რუმინელი ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი კოლონის გავლით.

ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟაკ დენინ

თქვენ აქ ჩამოხვედით, თქვა მან, მიმართა რა ფესტივალის მონაწილეებს, დედამიწის ყველა კუთხიდან, გადმოლახეთ ოკეანეები და მთები, ჩამოხვედით მსოფლიოს მთელი ახალგაზრდობის მშვიდობის ნებისა და მისწრაფების გამომხატველნი, მშვიდობა და მეგობრობა! — ერთსულოვნად ვამბობთ ჩვენ.

ფესტივალის მიზანია, განაგრძო ჟაკ დენინმ, ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის გაერთიანებას და ახალგაზრდობის სულ სხვადასხვა ორგანიზაციას შორის ურთიერთობის დამყარებას. ფესტივალის ყველა მონაწილის სახელით ჟაკ დენინმ მადლობა გადაუხადა რუმინელ ხალხს ფესტივალის მომზადებაში ხელშეწყობისა და სტუმრთმოყვარეობისათვის. შევიკრიბეთ რა აქ, თქვა მან, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ახალგაზრდებმა ხელი უნდა გაუწოდონ ერთმანეთს, შეადარონ თავიანთი თვალსაზრისები, მიაღწიონ შეთანხმებას, რათა მოიპოვონ თავიანთი იმედების გამარჯვება. შევიკრიბეთ რა აქ, ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს სურვილს, რომ მთავრობებიც შეიკრიბონ და განიხილონ ყველა საერთაშორისო უთანხმოების მოლაპარაკების გზით მოწესრიგების შესაძლებლობა. და ეს სურვილი, ეს რწმენა, რომ მოლაპარაკებამ უნდა გაიმარჯვოს ძალის პოლიტიკაზე, კიდევ უფრო განმტკიცდა ამ დღეებში, როცა ხალხები აღნიშნავენ კორეაში დაზავების ხელმოწერას, როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის უდიდეს წარმატებას.

შემდეგ ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა. რუმინელი ხალხი, ამბობს იგი, მოხარულია სტუმართმოყვარეობა გაუწიოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანთა ამ დიადი და მშვიდობიანი შეხვედრის მონაწილეებს, სწორედ ისევე, როგორც მოხარულია შეიტანოს თავისი წვლილი ყოველ ყოვლისძიებაში, ყოველ მოქმედებაში, რომლის მიზანია ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცება.

თქვენ აქ ჩამოხვედით მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, თქვენ ლაპარაკობთ სხვადასხვა ენაზე, ჩაცმული ხართ სხვადასხვანაირად, გაქვთ სხვადასხვა პოლიტიკური, ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებანი, განაგრძო პეტრუ გროზამ. მაგრამ ყველას გაერთიანებთ საერთო მისწრაფება მშვიდობისა და მეგობრობისადმი. ყველაფერი, რაც აქ ხდება, ფესტივალის მთელი მსვლელობა უეჭველს გახდის, რომ მეგობრობა და ურთიერთგაგება მსოფლიოს ახალგაზრდა ადამიანებს შორის სავსებით მისაღწევია, რომ მეგობრობა და ურთიერთგაგება ყველა ქვეყნის პატიოსან ადამიანებს შორის სავსებით შესაძლებელია, რომ მშვიდობამ უნდა გაიმარჯვოს და გაიმარჯვებს.

სტადიონის სარბენ ბილიკზე გამოჩნდა სპორტსმენთა ჯგუფი. ესენი არიან მძლეოსნები — წარმომადგენლები იმ ქვეყნებისა, რომლებზეც გაიარა მშვიდობისა და მეგობრობის საერთაშორისო ესტაფეტმა. წინ მოდის რუმინელი სპორტის ოსტატი პეტრუ ზამბრეშტეანუ. იგი ესტაფეტს გადასცემს ჟაკ დენის.

ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სახელით ჟაკ დენი ფესტივალს გახსნილად აცხადებს. დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის ხმაზე ფლაგშტოკზე აფრიალდა ფესტივალის დროშა.

... ჰაერში აფრინდა ათასობით თეთრი მტრედი. ისინი თავს ფასტრიალებენ სტადიონს. შემდეგ ათასობით რუმინელი სპორტსმენი გამოვიდა და დამსწრეთ უჩვენა დიდი სპორტული პროგრამა.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 26-ე წლისთავი

ჯუ დეს გამოსვლა

პეკინი, 2 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 1 აგვისტოს პეკინში გაიმართა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 26-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა.

სხდომაზე გამოვიდა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი ჯუ დე. აღნიშნა, რა რომ ჩინეთი იწყებს ინდუსტრიალიზაციას, ჯუ დემ განაცხადა: „ჩვენ უნდა შევქმნათ მძლავრი ეროვნული თავდაცვა იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი საშრომლო და ჩვენი ხალხი, რომლებიც მშვიდობიან მშენებლობას ეწევიან.

ჯუ დემ აღნიშნა, რომ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეროვნული თავდაცვის თანამედროვე არმიად გადაქცევის გზაზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, განაცხადა შემდეგ ჯუ დემ, მუდამ ახორციელებდა სამშვიდობო პოლიტიკას, მუდამ უჭერდა მხარს ხალხთა თანასწორობასა და მეგობრულ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მოლაპარაკებას. მტკიცე წინააღმდეგობას უწევს რა აგრესიას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არასოდეს არ დაესხმის თავს სხვა ხალხს.

ახლა, როცა დაზავება კორეაში ხელმოწერილია, მშვიდობა კორეაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატების მთავრობა გულწრფელი იქნება. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ვიბრძოლოთ კორეის საკითხისა და ყველა საერთაშორისო უთანხმოების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა, რომ კვლავ გრძელდება საბრალო ლი სინ მანის სამხრეთ კორეის ხროვის მხრივ, რასაც ხელს უწყობენ შეერთებული შტატები, აგრეთვე ვითვალისწინებთ რა შეერთებული შტატების აგრესიული ელემენტების აგრესიულ მოქმედებას, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მაღალი სიფხიზლე.

საზოგადოებრიობის ზეგავლენით

ანრი მარტენის განთავისუფლება

პარიზი, 2 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტომ გამოაცხადა, რომ დღეს დილით საპყრობილიდან გაათავისუფლეს ანრი მარტენი.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის ეროვნული კომიტეტის წევრს ანრი მარტენს მისჯილი ჰქონდა 5 წლის საკატორღო მუშაობა იმ საქმიანობის გამო, რასაც იგი მშვიდობის დასაცავად ეწეოდა ინდო-ჩინეთში კოლონიური ომის წინააღმდეგ გბიდული გამოსვლებისათვის. ანრი მარტენმა პატიმრობაში დაჰყო 3 წელი.

იტალიის მთავრობის კრიზისის გამო

რომი, 2 აგვისტო. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა ეინაუდიმ 2 აგვისტოს მიიღო ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ატილიო პიჩინი და წინადადება მისცა მას შეადგინოს ახალი მთავრობა. პიჩინიმ უფლება დაიტოვა შემდეგ მისცეს პასუხი, თანახმაა თუ არა შეასრულოს ეს დავალება.

დოქტორ იოზეფ ვირტის განცხადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადების გამო

ბერლინი, 3 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო ფრანბურგიდან იუწყება, რომ ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის თავმჯდომარემ, ყოფილმა რაიხსკანცლერმა დოქტორმა იოზეფ ვირტმა გააკეთა განცხადება, რომლითაც მიესალმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას მიმდინარე წლის აგვისტოში სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის შესახებ. დოქტორმა ვირტმა განაცხადა:

„კორეაში დაზავება, რომელიც დიდი კმაყოფილების გრძნობით აღუვსებს გულს ყოველ ადამიანს, ვინც მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნავს, მეტვრმეტყველურად მოწმობს, რომ ყველა არსებული სადავო საკითხი უნდა გადაიჭრას შეთანხმების გზით. ის, რაც შესაძლო გახდა კორეაში სისხლიანი და უაზრო მსხვერპლის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა გახდეს შესაძლო აგრეთვე გერმანიაში. ხალხთა მისწრაფება დაძაბულობის შენელებისა და შეთანხმებისადმი, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კორეაში დაზავებით, ადეენაუერზეც გაიმარჯვებს.

ინგლისი გადის ხორბლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილეთა რიგებიდან

ლონდონი, 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის ცენტრალური ბიურო იუწყება, 1 აგვისტოდან ინგლისი გადის ხორბლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილეთა რიგებიდან. გასვლის მიზეზია ის, რომ იგი არ ეთანხმება ერთ ბუშელ ხორბალზე მაქსიმალური ფასის — 2 დოლარისა და 5 ცენტის დაწესებას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით მოხდა.

ინგლისის გადაწყვეტილება მიაჩნიათ ვაჭრობის დარგში ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობის ახალ გამოვლინებად.

საქართველოს გასწორება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სახელზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოსა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის დეპეშაში, რომელიც 2 აგვისტოს გამოქვეყნდა გაზეთებში, ზემოდან პირველი აბზაცის შემდეგ უნდა იკითხებოდეს:

„კორეაში დაზავების განხორციელება დიდი გამარჯვებაა მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

შემდეგ როგორც ტექსტშია.

(საკდესი).

სპორტის ამბები

თბილისისა და ლენინგრადის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა. სურათზე: თბილისის „დინამოს“ გუნდის კაპიტანს ა. ღოღობერიძეს მესამე ბურთი გააქვს ლენინგრადელთა კარში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. ზარიძისა.

ფეხბურთი

ორი „დინამოს“ შეხვედრა

თბილისის დინამოელთა და მათ ლენინგრადელ თანაკლუბელთა შეჯიბრება ყოველთვის მძაფრი ასპარეზობით ხასიათდება. 2 აგვისტოს თბილისელი სპორტის მოყვარულები ამ გუნდების კიდევ ერთი საინტერესო ბრძოლის მოწმენი იყვნენ „დინამოს“ სტადიონზე.

თამაში ორმხრივი შეტევით დიწყო. მეკარეები პირველი წუთებიდანვე ჩაებნენ ბრძოლაში. მე-6 წუთზე ვ. ფარიკინმა მოიგერია თბილისის დინამოელთა კაპიტნის ა. ღოღობერიძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი. რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმრებმა ხელიდან გაუშვეს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა.

ნახევარ საათზე მეტმა უშედეგოდ განვლო. 42-ე წუთზე თბილისელებმა მარჯვენა ფრთიდან გაითამაშეს ლამაზ კომბინაცია, რომელიც კ. გაგნიძის ძლიერი დარტყმით და გოლით დაგვირგვინდა. ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 1 : 0.

შეჯიბრების მეორე ნახევარი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა. მე-15 წუთისათვის ანგარიში იყო 2 : 0. ბურთი გაიტანა ა. ღოღობერიძემ, ხოლო 29-ე წუთისათვის თბილისელთა ფარზე უკვე მოჩანდა ციფრი 5. ბურთები გაიტანეს ა. ღოღობერიძემ, ზ. კალოევმა და რ. მახარაძემ. დარჩენილ დროს შედეგი არ მოუცია. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 5 : 0.

• • •

საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გაიმართა აგრეთვე მოსკოვში ლენინგრადის „ზენიტისა“ და დედაქალაქის „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 4 : 0.

3 აგვისტო. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა კავშირის პირველობაზე მორიგი შეხვედრა გამართეს მოსკოვის „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „ზენიტის“ გუნდებმა. შეხვედრა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით 5 : 1.

3 აგვისტო. შეჯიბრება აშხაბადში ადგილობრივ და თბილისის „სპარტაკის“ გუნდებს შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 3:2.

ნორჩ დინამოელთა ასპარეზობა

სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭო ყოველწლიურად აწყობს ნორჩ დინამოელთა შეჯიბრებას ფეხბურთში ამავე საზოგადოების თასის ძოსაპოვებლად ზონალური შეხვედრები ძირითადად დამთავრებულია. ამიერკავკასიის ზონაში თამაშობდა ორი გუნდი — თბილისისა და ერევნისა. მათი პირველი შეხვედრა გაიმართა ერევანში და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 5 : 1.

კვირას თბილისელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მოედანზე მეორე გამარჯვება მოიპოვეს ერევნის ნორჩ დინამოელებთან ანგარიშით 7 : 1 და ფინალში გავიდნენ.

საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა

თბილისის XV საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ათას ხუთასზე მეტი სპორტსმენი, საზეიმოდ გაიხსნა 2 აგვისტოს „დინამოს“ სტადიონზე.

პირველ დღეს მოეწყო შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვაში, ჭადრაკში. სპარტაკიადის გახსნას მიეძღვნა მძლეოსნური ამანათრბენი ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. პირველ ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა 26 კომისრის რაიონის გუნდი, მეორე ჯგუფში — ხორცკომბინატის სპორტსმენთა კოლექტივი.

მძლეოსანთა ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდნენ: ქალთათვის ბირთვის კვრაში — ფირსენკო (ხორცკომბინატი), ვაჟთათვის სიგრძეზე ხტომაში — მინენკოვი (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა), ქალთათვის სიმაღლეზე ხტომაში — გლაზოკი (26 კომისრის რაიონი) და სხვ. მოჭადრაკეთა კოლექტივების შეჯიბრებაში პირველ დღეს გაიმარჯვეს 26 კომისრის რაიონის, სართავ-სტროიოტაყო კომბინატის და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის გუნდებმა. ამავე დღეს მოეწყო შეხვედრები ცურვაში.

თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა 16 აგვისტომდე გაგრძელდება.

რესპუბლიკური ჩემპიონატი კალათბურთში

ქალთა 7 და ვაჟთა 10 გუნდი ეცილება ერთმანეთს რესპუბლიკურ პირველობას კალათბურთში. შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა 2 აგვისტოს კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე.

ვაჟთა გუნდებიდან თბილისის „დინამომ“ მოუგო ქუთაისის გუნდს ანგარიშით 67 : 31. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: სამტრედია — „სპარტაკი“ (თბილისი) 32 : 62, თბილისის განათლების განყოფილება — „ნაუკა“ (თბილისი) 56 : 82, ბათუმი — წულუკიძე 65 : 36, სუხუმი — ფოთი 44 : 38.

თბილისის „ნაუკას“ ქალთა გუნდმა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველ დღეს მოუგო ბათუმის გუნდს 83 : 14, თბილისის განათლების განყოფილების ქალთა გუნდმა — პედაგოგიური ინსტიტუტის კალათბურთელებს 42 : 34, თბილისის „ისკრამ“ — ქუთაისის გუნდს 62 : 38.

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები. საქართველოს პირველობის გათამაშება კალათბურთში გაგრძელდება 10 აგვისტომდე.

რედაქტორი დ. მჯედლიშვილი.

კორეის სახელმწიფო მოღვაწეთა და შრომის პირველის ხელმძღვანელთა დაჯილდოება ორდენებით

ფხენიანი, 1 აგვისტო. (საკდესი). გამოქვეყნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებანი რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეთა და კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელთა ორდენებით დაჯილდოების შესახებ. კორეელი ხალხის განმათავისუფლებელ სამამულო ომში გამარჯვების მიღწევის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებული არიან: სახელმწიფო დროშის პირველი ხარისხის ორდენით — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე კიმ დუ ბონი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პაკ დენ აი და პაკ ჩან ოკი; თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირველი ხარისხის ორდენით — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ცოი ენ გენი და შრომის ორდენით — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ხონ მენ ხი.

• • •

ფხენიანი, 2 აგვისტო. (საკდესი). დღეს კორეის ცენტრალური დეპეშათა საგენტო აქვეყნებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მთელ რიგ ბრძანებულებებს განმათავისუფლებელი სამამულო ომის პერიოდში. თვალსაჩინო მუშაობისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

გამოქვეყნებულია აგრეთვე ბრძანებულება იმის შესახებ, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის I ხარისხის ორდენით დაჯილდოებულია კორეის სახალხო არმიის 15 გენერალი.

კორეაში დაზავების სამხედრო კომისიის სხდომა

პეკინი, 1 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

დღეს კორეაში დაზავების სამხედრო კომისიის მეხუთე სხდომაზე ამ კომისიის ორივე მხარის უფროსმა წევრებმა მოიწონეს შეთანხმება სამხედრო-სადემარკაციო ხაზის გაყოლებით სადემარკაციო ნიშნების გაკეთებისა და დაცვის სპეციფიკაციის შესახებ. შეთანხმება მიღწეულ იქნა ორივე მხარის შტაბის ოფიცრებს შორის 31 იკლისს.

ორივე მხარე აწარმოებს მზადებას, რათა უახლოეს ხანში დაიწყოს სადემარკაციო ნიშნების გაკეთება სამხედრო-სადემარკაციო ხაზის გაყოლებით.

დაზავების სამხედრო კომისიის მეექვსე სხდომა გაიმართება 3 აგვისტოს დილის 11 საათზე.

დაზავების სამეთვალყურეო კომისიის პირველი სხდომა

პეკინი, 2 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის 1 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

1 აგვისტოს დღის 3 საათზე პანმინჯონში ოფიციალურად დაიწყო მუშაობა დაზავების სამეთვალყურეო კომისიამ, რომელიც შექმნილია ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების 36-ე პარაგრაფის შესაბამისად. კომისიის პირველ სხდომას დაესწრნენ: ჩეხოსლოვაკიისაგან — გენერალ-ლეიტენანტი ფრანტიშეკ ბურეში, პოლონეთისაგან — გენერალ-მაიორი მეჩისლავ ვონგროვსკი, შვეიცისაგან — გენერალ-მაიორი სვენ გრაფსტრემი და შვეიცარიისაგან — გენერალ-მაიორი ფრედერიკ რინერი.

სხდომაზე გენერალ-ლეიტენანტმა ბურეშმა და გენერალ-მაიორმა ვონგროვსკიმ განაცხადეს, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მშვიდობისმოყვარე ხალხები დიდ სიხარულს განიცდიან კორეაში დაზავების მიღწევის გამო. მათ გამოთქვეს აზრი, რომ დაზავება ნიშნავს არა მარტო სამი წლის სისხლის ღვრის დამთავრებას კორეის ფრონტზე, არამედ აგრეთვე პირველ ნაბიჯს კორეის საკითხისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ.

შვეიცის წარმომადგენელმა გენერალ-მაიორმა სვენ გრაფსტრემმა და შვეიცარიის წარმომადგენელმა გენერალ-მაიორმა ფრედერიკ რინერმა კმაყოფილება გამოთქვეს კორეაში დაზავების დამყარებით და განაცხადეს, რომ მზად არიან იმუშაონ კომისიის სხვა წევრებთან თანამშრომლობის სულისკვეთებით.

რეიგერის საგენგო ლისინჯანელთა ხროვის სარმარი მზადების შესახებ

ლონდონი, 2 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, „სამხრეთ კორეის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ვიეი-დმირალმა სონ ვონ ირმა დღეს ეროვნული კრების სპეციალურ სხდომას მოახსენა, რომ იგი გეგმავს სამხედრო სწავლებაში ჩაბას მთელი მოსახლეობა და ყოველი ღონე იხმაროს სამხრეთ კორეის რესურსების მობილიზაციისათვის საგანგებო გარემოებათა წარმოშობის შემთხვევაში“.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 26-ე წლისთავი

ჯუ დეს გამოსვლა

პეკინი, 2 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 1 აგვისტოს პეკინში გაიმართა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 26-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა.

სხდომაზე გამოვიდა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარ